მიზეზობრიობის ზოგიერთი პრობლემური ასპექტი შერეული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულში

გიორგი გამხიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი

ელ.ფოსტა: ggamkhitashvili2@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოაჩინოს უმოქმედობის მიზეზობრიობის ზოგიერთი საკამათო საკითხი შერეული უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში. საკითხის შესწავლისას გამოყენებულ იქნა ფორმალურ – ლოგიკური და შედარებით – სამართლებრივი მეთოდები, რომლის ფარგლებში სისტემურად და ლოგიკურად გაანალიზდა საკვლევი თემატიკის პრობლემატურ ასპექტთა წრე როგორც ქართული, აგრეთვე უცხოური კანონმდებლობის ჭრილში, რის შედეგადაც გამოიკვეთა და გაანალიზდა მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

უმოქმედობის არსის მხედველობაში მიღებით, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებისა და სამართლებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, კანონმდებელმა შემოიღო ის სავალდებულო ელემენტები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის შერეული უმოქმედობის დასჯადობისათვის აუცილებელ მიზეზობრიობის ჯაჭვს, რომლის სწორად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული უმოქმედობით გამოხატული ქმედების სისხლისსამართლებრივი რელევანტურობის საკითხი.

სამართლებრივი გარანტის სწორად განსაზღვრას უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან ამაზეა დამოკიდებული უმოქმედობით განხორციელებული ქმედება შეფასდება განსაცდელში მიტოვებად, დანაშაულის მცდელობად თუ დაუხმარებლობად. კერძოდ, სამართლებრივი გარანტისაგან განსხვავებით, საერთო სუბიექტის უმოქმედობა განსაცდელში მყოფის მიმართ ფასდება მხოლოდ დაუხმარებლობად, მოსალოდნელი მართლსაწინააღმდეგო შედეგისადმი პირდაპირი განზრახვის ქონისა და დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიუხედავად, მიზეზობრიობის მესამე ელემენტის – სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგის თავიდან აცილების საკითხის სწორად შეფასებაზეა დამოკიდებული დანაშაულის დამთავრებულობის სწორად გადაწყვეტა, კერძოდ, სახეზეა დანაშაულის მცდელობა თუ დამთავრებული დანაშაული.

საკვანძო სიტყვები: ბრალეულობა, პასიურობა, გარანტი

Email: info@heraldoflaw.com

Some Problematical Aspects of Causation in Mixed Omission Crime

Giorgi Gamkhitashvili

PhD student at Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Attorney

E-mail: ggamkhitashvili2@gmail.com

ABSTRACT

The present article aims to portray some controversial issues of the inaction causality of the crimes committed with mixed inaction. While studying the issue, formal – logical and comparative – legal methods were utilized, within the framework of which the study subject problematic aspect circle was systematically and logically analyzed, considering the Georgian as well as foreign legislation, as a result identifying and analyzing their common and distinguishing aspects. Taking into account the essence of the inaction, characteristic features and legal specifics, the legislator introduced the mandatory elements, the unity of which creates a basis for the punishment chain for mixed inaction, on the correct solution of which depends the question of the criminal relevance of the action expressed in inaction.

The correct definition of a legal guarantor is of great theoretical and practical importance, because depending on it, the action taken by inaction will be assessed as abandonment, attempted crime or refusal to help. In particular, unlike a legal guarantee, the inaction of a common subject towards a person in distress is assessed only as refusal to help, regardless of the direct intent to the expected unlawful outcome and the unlawful outcome established. The third element of causality – the correct assessment of the end of the crime depends on the correct assessment of the issue of avoiding the result by binding and possible action, in particular, in the face of an attempted crime or a committed crime.

KEYWORDS: Culpability, Inactivity, Guarantor

შესავალი

უმოქმედობის, როგორც დანაშაულის ობიექტური მხარის, საკითხი მეტად პრობლემატურია. ეს პრობლემა განსაკუთრებით ვლინდება მაშინ, როცა სახეზეა შერეული უმოქმედობის დანაშაული. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ მოქმედებაში გამოხატული ქმედება, უმოქმედობისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო მეტ სიცხადეს შეიცავს და, შესაბამისად, გაცილებით მარტივია მისი სამართლებრივი შეფასება. უმოქმედობის დროს კი გადამწყვეტია არა პირის გარეგანი ქცევის ხასიათი, არამედ მისი შინაარსობრივი მხარე, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს. მაშასადამე, განსახილველ შემთხვევაში გადამწყვეტია სწორედ ქმედების ის სახე, რომელსაც უკავშირდება კონკრეტული მოთხოვნის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. უმოქმედობის არსის გათვალისწინებით, კანონმდებელმა შემოიღო ის სავალდებულო ელემენტები, რომლებიც ქმნიან შერეული უმოქმედობის დასჯადობისათვის აუცილებელ მიზეზობრიობის ჯაჭვს და მათ სწორად განსაზღვრაზეა დამოკიდებული უმოქმედობის, როგორც სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ქმედების, არსებობის საკითხი. ამდენად, წინამდებარე სტატიაში გაანალიზდა შერეული უმოქმედობის მიზეზობრიობის სამივე ნიშანი და შეფასდა მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ასპექტები.

სამართლებრივი გარანტის ცნება

იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული სიტყვა – სამართლებრივი გარანტი ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირისათვის დაკისრებული მოვალეობის მთავარ არსს. სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი გარანტის არსებობა წარმოადგენს უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის მიზეზობრიობის პირველ მნიშვნელოვან ნიშანს, ურომლისოდაც საერთოდ გამოირიცხება შერეული უმოქმედობით დანაშაულის განხორციელების შესაძლებლობა.

ამდენად, მნიშვნელოვანია სამართლებრივი გარანტის საკანონმდებლო არსისა და მისი გავრცელების ფარგლების მკაფიო ანალიზი.

სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი გარანტის ფუნქცია გულისხმობს სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის არსებობას, რაც მკვეთრად ზრდის პირზე დაკისრებული ვალდებულების მნიშვნელობის, მისი სოციალური ღირებულების ხარისხს. როგორც ვიცით, არსებობს სამართლებრივი ვალდებულების (და არა სამართლებრივი გარანტის) სხვა სახეებიც, მაგალითად, სსკ-ის 129-ე მუხლში გათვალისწინებული აუცილებელი და გადაუდებელი დახმარების ვალდებულება, რომელსაც, თავის მხრივ, მოვალეობის წარმოშობის საფუძვლების (ხასიათის) გათვალისწინებით, ხშირად უწოდებენ მოქალაქეობრივ (სოლიდარულ, მორალურ, ზნეობრივ) ვალდებულებას, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი, ამავე დროს, სამართლებრივი ვალდებულებაა. საქმე ისაა, რომ მისი შესრულების ვალდებულება გათვალისწინებულია კანონით, ხოლო შეუსრულებლობას კი მოსდევს იურიდიული შედეგები. სამართლებრივ გარანტზე დაკისრებული ვალდებულების უმაღლეს იურიდიულ ღირებულებას წარმოაჩენს სიტყვა – „სპეციალური“, რაც ხაზს უსვამს მის აღმატებულობას ყველა სხვა სამართლებრივი სახის ვალდებულებებისადმი. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში საუბარია განსაკუთრებული, სპეციფიკური ხასიათის ვალდებულების არსებობაზე, რომელიც

მხოლოდ სამართლებრივი გარანტისაგან მოითხოვს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას და რომლის შეუსრულებლობასაც, თავის მხრივ, უმოქმედობის სოციალური ხასიათის გათვალისწინებით, მოსდევს განსხვავებული, ბევრად უფრო მძიმე იურიდიული შედეგები.

მზრუნველი გარანტი

პირი არის მზრუნველი (დამცავი) გარანტი, ე.ი. მას სამართლებრივი სიკეთის დაცვის განსაკუთრებული მოვალეობა ეკისრება.[1]

ამდენად, მნიშვნელოვანია პირზე მზრუნველობითი (დაცვითი) ფუნქციის დაკისრების საკითხი. კერძოდ, საინტერესოა, აღნიშნული ფუნქცია წარმოიშვება მხოლოდ კონკრეტულად დაკისრებული უშუალო ვალდებულებიდან (მაგალითად, კანონით, ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები), თუ შესაძლებელია, იგი სახეზე იყოს მაშინაც, როდესაც პირი ნებაყოფლობით ისარგებლებს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებით, ე.ი. გამოიჩენს მოქალაქეობრივ თვითშეგნებას და შეასრულებს გარკვეული კანონიერი სახის ქმედებას. აღნიშნული საკითხის გასარკვევად მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ვანო და ივანე იმყოფებოდნენ ქუჩაში, რა დროსაც მათ დაინახეს, თუ როგორ გასტაცა ჩანთა მოხუც ქალს ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ცდილობდა მიმალვას. ვანო და ივანე გამოეკიდნენ დამნაშავეს და დაიჭირეს. შემდეგ კი ჩანთა დაუბრუნეს მოხუცს, დამნაშავე კი იქვე თოკით გაკოჭეს და დასვეს ხის ძირას. რის შემდეგაც დარეკეს პოლიციაში, აუხსნეს სიტუაცია და ელოდებოდნენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მოსვლას, რათა მათთვის გადაეცათ აღნიშნული პირი. ამ დროს შემთხვევით, ავტომობილით გამოიარა მათმა საერთო მეგობარმა პეტრემ, რომელიც იმყოფებოდა გურამთან ერთად. პეტრემ გააჩერა ავტომობილი, დაინტერესდა სიტუაციით, რა დროსაც მან იცნო გაკოჭილი პირი – პავლე, რომელსაც იგი დიდი ხანია მტრობდა და სურდა მისი მოკვლა. პეტრეს გაუხარდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი პავლეს ნახვა. მან მაშინვე აუხსნა საქმის ვითარება ვანოსა და ივანეს, უთხრა, რომ სურდა მისი მოკვლა, თან ასეთ „პარაზიტსაც“ მოაცილებდა საზოგადოებას და მეგობრულად სთხოვა, რომ გაკოჭილი პავლე მისთვის გადაეცათ, პოლიციისათვის კი ეთქვათ, რომ თითქოს გაექცათ შეპყრობილი დამნაშავე. ვანოს და ივანეს შეგნებული ჰქონდათ, რომ პეტრე აუცილებლად მოკლავდა პავლეს, ვინაიდან იცოდნენ, თუ როგორ უსწორდებოდა მათი მეგობარი თავის მტრებს. თუმცა, ამის მიუხედავად, მათ ხათრი ვერ გაუტეხეს ბავშვობის მეგობარს და მას გაკოჭილი პავლეს წაყვანის ნება მისცეს. პავლემ და გურამმა წაიყვანეს და ცემით მოკლეს გაკოჭილი პავლე.

განსახილველ შემთხვევაში საინტერესოა, რისთვის აგებენ პასუხს ვანო და ივანე? რამდენადაა სახეზე სამართლებრივი გარანტის ფუნქცია? მათი წინარე ქმედება – დამნაშვე პავლეს შეპყრობა ხომ მართლზომიერი იყო. საინტერესოა, წარმოშვა თუ არა აღნიშნულმა ქმედებამ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია? მიმაჩნია, რომ ვანომ და ივანემ თავიანთი წინარე, მართლზომიერი ქმედებით შეიძინეს სამართლებრივი გარანტის ფუნქცია და, შესაბამისად, ისინი გახდნენ შეპყრობილი პავლეს მზრუნველი გარანტები. ვინაიდან, როდესაც მათ ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრეს დამნაშავე და გაკოჭეს, იგი ჩააყენეს უმწეო მდგომარეობაში. სწორედ ამ მომენტიდან, მათი მოქალაქეობრივი მოვალეობა (დამნაშავის შეპყრობა) გადაიზარდა სპეციალურ სამართლებრივ მოვალეობაში, რადგან მათ, ამ ქმედებით, პოლიციის მოსვლამდე, საკუთარ თავზე ნებაყოფლობით აიღეს არა მხოლოდ დამნაშა-

1 მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 327.

ვეზე ზედამხედველობის (მეთვალყურეობის) განხორციელების, არამედ, პირველ რიგში, სწორედ მასზე მზრუნველობის გაწევის ვალდებულება. ამის გამო ისინი სრულად იყვნენ პასუხისმგებელნი იმ დამნაშავის სამართლებრივი სიკეთის დაცვაზე, რომელსაც, მართალია, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შეუზღუდეს თავისუფალი გადაადგილების უფლება (ჩააყენეს უმწეო მდგომარეობაში), თუმცა, ეს მაინც ვერ გამორიცხავს სამართლებრივი გარანტის ფუნქციას, რადგან სწორედ მათი ქმედების გამო ვეღარ შეძლო შეპყრობილმა პირმა საკუთარი სამართლებრივი სიკეთის დაცვა. ამდენად, მათ ევალებოდათ, რომ პოლიციის მოსვლამდე, ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში, ეზრუნათ ამ პიროვნებაზე და დაეცვათ მისი სამართლებრივი სიკეთე ნებისმიერი სახის ხელყოფისაგან, რისი შესაძლებლობაც მათ რეალურად ჰქონდათ კიდეც. კერძოდ, შეეძლოთ უარი ეთქვათ მის გადაცემაზე, თუმცა, მათ თავიანთი შეგნებული უმოქმედობით, მოსაკლავად გაატანეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირი. მაშასადამე, ხელი შეუწყვეს მკვლელობის ჩადენას, რის გამოც ისინი პასუხს აგებენ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის, კერძოდ, დახმარებისათვის (სსკ-ის 25-ე; 109-ე მუხ. მეორე ნაწ. „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები).

მოცემულ მაგალითში სამართლებრივი გარანტის ფუნქციის დაკისრება გამოიწვია იმ წინარე მართლზომიერმა ქმედებამ, რომელიც განხორციელების მომენტში (გაკოჭვის პროცესი) სულაც არ იყო სამართლებრივად დასაძრახი, საფრთხის შემცველი ან რაიმე სახის ზიანის მომტანი. ანუ წინარე მართლზომიერ ქმედებას არ შეუქმნია იმწუთიერი საფრთხე, არამედ მოგვიანებით, სწორედ მზრუნველ გარანტთა შეგნებული უმოქმედობით დაფუძნდა სიცოცხლის ხელყოფის კონკრეტული საფრთხე, კერძოდ, ხელი შეეწყო მკვლელობის უმართლობის ჩადენას, რომელიც მალევე გადაიზარდა მართლსაწინააღმდეგო შედეგში.

ამდენად, სრულიად შესაძლებელია, რომ ადამიანის მიერ მართლზომიერი ქმედების განხორციელება, გახდეს სამართლებრივი გარანტის ფუნქციის დაკისრების საფუძველი. მაშასადამე, მზრუნველი გარანტის ფუნქციის შეძენა ხდება როგორც უშუალოდ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების საფუძველზე, აგრეთვე საგამონაკლისო წესით, პირის მიერ კანონით ნებადართული, სამართლებრივად არადასაძრახი, არაიმწუთიერი საფრთხის შემქმნელი ქმედების განხორციელების შედეგადაც.

კანონიდან წარმოშობილი გარანტის ფუნქცია

განსაცდელში მყოფი ადამიანისათვის დახმარების სპეციალური ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ კანონიდან (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსით მშობლები ვალდებულნი არიან დაეხმარონ არასრულწლოვან შვილებს, შვილები – შრომისუუნარო მშობლებს).[2] მაშასადამე, აქ საუბარია არა, ზოგადად, ნათესაურ ურთიერთობებზე, არამედ მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ ახლო ნათესაურ წრეზე. სსკ-ის 109-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით კანონმდებელ ცოლ-ქმარს ახლო ნათესავებად თვლის და მათ ერთმანეთის მიმართ გარანტის მოვალეობას აკისრებს. ისინი ერთმანეთის მიმართ მზრუნველი გარანტები არიან. ე.ი. ისინი ვალდებულნი არიან, დაეხმარონ ერთმანეთს გაჭირვების ჟამს.[3]

2 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 193.

3 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 308.

საკამათოა ის შემთხვევა, როდესაც კანონით გათვალისწინებულ პირებს შორის ფაქტობრივად აღარ არსებობს არანაირი სახის ურთიერთობა, ე.ი. როდესაც მათ შორის ყველანაირი კავშირი გაწყვეტილია. საინტერესოა, მოცემულ შემთხვევაში პირები მაინც ითვლებიან თუ არა ერთმანეთის გარანტებად? აღნიშნული საკითხი განვიხილოთ ცოლ-ქმრის მაგალითზე. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, ცოლ-ქმარს გარანტის მოვალეობას მოუხსნის არა ხშირი ჩხუბი და უსიამოვნება ოჯახში, არამედ ფაქტიური გაცილება. თუ ისინი გაყრილები არიან, ანდა მათი ურთიერთობა იმდენად შერყეულია, რომ ისინი ერთად აღარც კი ცხოვრობენ, მათ ერთმანეთის დაცვის ვალდებულება არ ეკისრებათ.[4]

ცოლ-ქმრის შემთხვევაზე გამოთქმული პოზიცია საკამათოა, ვინაიდან როდესაც გარკვეული სახის ვალდებულება წარმოიშობა კანონით დადგენილი წესით, იგი მოქმედებს და ძალაშია იქამდე, სანამ არ გაუქმდება კანონმდებლობითვე გათვალისწინებული წესით. კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ფარგლების, კანონმდებლობის გვერდის ავლით, მხოლოდ ფაქტობრივად არსებული ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით შეცვლა ან გაუქმება დაუშვებელია, ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და, ამასთანავე, შეიცავს, კანონით მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის, სოციალური ურთიერთობების თვითნებურად დარღვევის რეალურ საფრთხეებს. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.[5] სწორედ აღნიშნული წერილობითი შეთანხმება (ქორწინების მოწმობა) წარმოშობს მეუღლეთა ურთიერთრჩენის სამართლებრივ მოვალეობას[6] და არა – პირთა ფაქტობრივი თანაცხოვრება. შესაბამისად, როდესაც საუბარია კანონიდან წარმოშობილი გარანტის ფუნქციაზე, საკითხის გადაწყვეტისას ჩვენთვის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს არა ფიზიკურად არსებული ფაქტობრივი ხასიათის მოცემულობა, არამედ – სამართლებრივი თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა. განსახილველ შემთხვევაში, ფაქტობრივი ხასიათის ურთიერთობები ვერ გადასწონიან იურიდიულად არსებულ გარემოებებს, რომელთაც, თავის მხრივ, მოსდევს კონკრეტული სამართლებრივი შედეგები. ამდენად, ცოლქმრული ურთიერთობა და მისგან მომდინარე უფლება-მოვალეობები, მათ შორის არსებული ფაქტობრივი ურთიერთობის ხარისხის მიუხედავად, არსებობს იქამდე, სანამ არ მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ქორწინების შეწყვეტა. მაშასადამე, ცოლ – ქმარს გარანტის მოვალეობას მოუხსნის არა ფაქტობრივი გაცილება, არამედ იურიდიული გაცილება. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 1183-ე მუხლით დადგენილია საგამონაკლისო შემთხვევაც, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ ფაქტობრივი გაცილების, არამედ იურიდიული გაცილების შემდეგაც ეკისრება პირს თავისი ყოფილი მეუღლის რჩენის ვალდებულება, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან.[7] ამდენად, აღნიშნული დანაწესითაც დასტურდება, რომ კანონიდან წარმოშობილი სამართლებრივი გარანტის ფუნქცია-მოვალეობების შეწყვეტა დამოკიდებულია კანონითვე გათვალისწინებულ

4 იქვე. გვ. 311.
5 მუხლი 1151, საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი 26/06/1997.#786.
6 იქვე. მუხლი 1182.
7 იქვე. მუხლი 1183.

გარემოებებზე. შესაბამისად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, კანონით შეიძლება პირს მაინც შეუნარჩუნდეს სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, იმის მიუხედავად, რომ იგი არათუ ერთად აღარ ცხოვრობს მეუღლესთან, არამედ ოფიციალურადაც განქორწინებულია.

აღნიშნული ვითარება ემსგავსება სამსახურებრივი მდგომარეობიდან წარმოშობილი გარანტის ფუქციას, ვინაიდან სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების ფარგლებიც სწორედაც, რომ კანონით ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დგინდება (ბრძანება, დებულება, დადგენილება და ა.შ). კანონით, ან სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დაკისრებულ ვალდებულებათა უპირატესობა სხვა ფაქტობრივ ურთიერთობებთან შედარებით, რაც ნათლად ჩანს პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროსაც. კერძოდ, სადავო არაა, რომ პოლიციელმა ან მეხანძრემ ჯეროვნად უნდა შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა და დაიცვას/გადაარჩინოს განსაცდელში მყოფი ადამიანის სამართლებრივი სიკეთე, ამ უკანასკნელთან, მისი პირადი დამოკიდებულების ხასიათის მიუხედავად, მაგალითად, პოლიციელი პასუხს აგებს განსაცდელში მყოფი პირისათვის სათანადო დახმარების აღმოუჩენლობის გამო,[8] მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ურთიერთობა აკავშირებს დაზარალებულთან და წლებია მასთან არ კონტაქტობს. ამ დროს უპირატესი ძალა ენიჭება სწორედ კანონიდან მომდინარე ვალდებულებას, უკეთუ სამართლებრივი გარანტი არ შეასრულებს მის სამსახურებრივ მოვალეობას (თუნდაც, დაზარალებულისადმი მტრული დამოკიდებულების მოტივით), იგი, ჩვეულებისამებრ, პასუხს აგებს სისხლისსამართლებრივი წესით.

საინტერესოა ის შემთხვევა, როდესაც ერთი დაზარალებულის მიმართ ერთდროულად სახეზეა სამართლებრივი გარანტის ფუნქციის წარმომშობი ორი გარემოება. კერძოდ, გამოძახებაზე გასული მაშველი (სამსახურებრივი მდგომარეობიდან წარმოშობილი გარანტის ფუნქცია) აღმოაჩენს, რომ წყალში იხრჩობა მისი მეუღლე (ნათესაური, კანონიდან წარმოშობილი გარანტის ფუნქცია), თუმცა, იგი მას არ დაეხმარება, რის გამოც ქალი დაიღუპება. განსახილველ შემთხვევაში საინტერესოა რამდენიმე საკითხის გარკვევა.

1) სახეზეა თუ არა თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობები, რაც დაგვეხმარება იმის გარკვევაში, ადგილი აქვს მოვალეობათა კოლიზიას თუ კონკურენციას? აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამართლებრივად, ორივე გარემოება, როგორც სამართლებრივი გარანტის ფუნქციის წარმომშობი, თანაბარი მნიშვნელობის მატარებელია. ვინაიდან, ერთ-ერთი მათგანის დარღვევას მოსდევს ერთნაირი ხარისხის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და არა განსხვავებული იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელი საფუძველია სახეზე. სწორედ ამიტომ, სამართლებრივი გარანტის წარმომშობი ყველა საფუძველი სამართლებრივად, კერძოდ, სპეციალური მოქმედების შესრულების სავალდებულოობის თვალსაზრისით, თანაბარია და მათ შორის არ არსებობს იერარქიული დამოკიდებულება. მორალური თვალსაზრისით შესაძლოა, რომელიმე მათგანი მაღლა იდგეს. მაგალითად, საზოგადოებაში მომეტებულად გასაკიცხია, როცა ადამიანი არ ეხმარება საკუთარ შვილს, ვიდრე ის ფაქტი, როდესაც პირი არ ასრულებს თავის სამსახურებრივ ვალდებულებას. კერძოდ, მეხანძრეს არ გამოჰყავს დაზარალებული ცეცხლმოკიდებული შენობიდან. თუმცა, ამ შემთხვევაში, მთავარია, სწორედ სამართლებრივი და არა – მორალური კუთხე.

8 მუხლი 128, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999. # 2287.

შესაბამისად, სახეზეა მოვალეობათა კოლიზია, ვინაიდან თანაბარი მნიშვნელობის გარემოებებთან გვაქვს საქმე.[9]

სამართლებრივი გარანტის ფუნქციის წარმოშობის საფუძვლების თანაბრობის საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა იმ დანაშაულის განხილვა, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მედიცინის მუშაკის მიერ სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების არასაპატიო მიზეზით გაუწევლობისათვის.[10] მაშასადამე, პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცალკე, სპეციალური მუხლით. შესაბამისად, ჩნდება კითხვა იმის თაობაზე, ეს გარემოება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობა, თავისი არსით, განსხვავდება კანონის საფუძველზე, ან სხვა სახის სამსახურებრივი ვალდებულების საფუძველზე აღმოცენებული სამართლებრივი ვალდებულებისაგან და ამიტომ საჭიროებს სპეციალური მუხლით მოწესრიგებას? აღნიშნული საკითხების გასარკვევად, პირველ რიგში, ერთმანეთს უნდა შევადაროთ განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 128-ე მუხლი); და ექიმის მიერ ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (სსკ-ის 130-ე მუხლით). აღნიშნული მუხლების დანიშნულებისა და მათ დისპოზიციებში ჩადებული არსის გათვალისწინებით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ისინი შინაარსობრივად, თავიანთი არსითა და ფუნქციური დანიშნულებით, არ განსხავდებიან ერთმანეთისაგან. მათ შორის განსხვავება ძირითადად მდგომარეობს სუბიექტში – სამედიცინო მუშაკში. ანუ, ფაქტობრივად, სამედიცინო მუშაკი გვევლინება სპეციალურ ამსრულებლად. გარდა ამისა, მათ შორის განსხვავება იკვეთება იმაშიც, რომ განსაცდელში მიტოვების მუხლში, ავადმყოფობით წარმოშობილი საფრთხის გარდა, იგულისხმება სხვა გარემოებიდან დაფუძნებული სიცოცხლისათვის საშიში რისკებიც. თუმცა, როგორც აღინიშნა, ამ ორი მუხლის ფუნქციური დანიშნულება ერთმანეთის იდენტურია.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნევა პროფესიული მოვალეობის შეუსრულებლობა განსხვავებულ კონტექსტში, მაგალითად, სამსახურებრივი თუ სხვა სახის მოვალეობის შეუსრულებლობისგან? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რატომ უნდა შეფასდეს სამედიცინო მუშაკის ბრალეული უმოქმედობა დიფერენცირებულად, მაგალითად, მაშველის ან მშობლის უმოქმედობისაგან? ამის საპასუხოდ შეიძლება გაჩნდეს ასეთი არგუმენტი, რომ ვინაიდან სამედიცინო მუშაკი, მისი სპეციფიკური ფუნქციური როლიდან გამომდინარე, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის ვალდებულია დაეხმაროს განსაცდელში მყოფს იმის მიუხედავად, იგი იმ მომენტში მუშაობს თუ არა. დაუხმარებლობის საპატიო მიზეზი ვერ იქნება, თუ მედიცინის მუშაკი შვებულებაში იყო და ამის გამო არ დაეხმარა პაციენტს.[11] თუმცა, მხოლოდ აღნიშნული არგუმენტი ვერ გამოდგება მოცემული პოზიციის დასასაბუთებლად, ვინაიდან, ამ თვალსაზრისით, მშობელიც, ნათესაური ურთიერთობიდან გამომდინარე, ყოველთვის ვალდებულია , იზრუნოს განსაცდელში მყოფ შვილზე. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია კანონმდებლის პოზიცია სამედიცინო მუშაკისა და

9 გაბიანი, ა. და სხვები. 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 281.

10 მუხლი 130, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999. # 2287.

11 ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 397.

სხვა სახის სამართლებრივი გარანტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გასაკიცხ ხარისხთან დაკავშირებით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სსკ-ის 128-ე და 130-ე მუხლების სანქციების შედარება, რომლიდანაც იკვეთება, რომ განსაცდელში მიტოვებისათვის უფრო მკაცრი სახის სასჯელია გათვლისწინებული (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა), მაშინ როდესაც ექიმის მიერ ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებისათვის (იგულისხმება პირველი ნაწილი) სასჯელის სახით საერთოდ არაა მოცემული თავისუფლების აღკვეთა.

შესაბამისად, ისმის ლოგიკური კითხვა: რა გარემოებებზე დაყრდნობით ფასდება სამედიცინო მუშაკის მიერ განსაცდელში მყოფისათვის არასაპატიო მიზეზით დახმარების გაუწევლობა შედარებით მსუბუქად, ვიდრე, მაგალითად, მშობლის ან მაშველის მიერ განსაცდელში მყოფისათვის დაუხმარებლობა? აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას გააჩნია არა მხოლოდ დოგმატური, აგრეთვე, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. რომელსაც განვიხილავთ შემდეგ მაგალითზე: ექიმი, რომელმაც დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, დაეჯახა ბორდიურს, რა დროსაც მძიმედ დაზიანდა ავტომობილში მყოფი მისი მეუღლე. ექიმს იმწუთიერად შეეძლო მეუღლისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა, აგრეთვე, მისი უახლოეს საავადმყოფოში მიყვანაც, თუმცა, მან არანაირი სახის დახმარება არ გაუწია მეუღლეს, რადგან შეეშინდა პასუხისმგებლობის და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მეუღლე სხვა პირების მეშვეობით წაიყვანეს საავადმყოფოში და იგი გადაურჩა სიკვდილს. განსახილველ შემთხვევაში, საკითხავია, რომელი ვალდებულების დარღვევა იკვეთება ექიმის უმოქმედობაში? მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი გარანტის ფუნქციის წარმოშობის სამი გარემოებაა სახეზე: 1) წინარე ქმედება; 2) კანონიდან წარმოშობილი (ცოლქმრული); 3) პროფესიული. საკითხავია, რომელ ვალდებულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა? თუ პირველ ან მეორე ვალდებულებას მივიჩნევთ უპირატესად, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 128-ე მუხლით, ხოლო თუ მესამეს, მაშინ – სსკ-ის 130-ე მუხლით. როგორც არაერთხელ აღინიშნა, სამივე გარემოება, თავისი არსითა და დანიშნულებით, თანაბარი მნიშვნელობისაა, რამეთუ სამივე მათგანი ერთნაირი ხარისხით აფუძნებს სპეციალური მოქმედების ვალდებულებას. ეს კარგად ჩანს იქიდანაც, რომ სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ სპეციალურ სამართლებრივ მოვალეობას ერთნაირად აფუძნებს ერთ-ერთი მათგანი. მაშასადამე, სახეზეა მოვალეობათა კოლიზია და ამ შემთხვევაში, ავტომატურად, ვერც ერთ გარემოებას ვერ მიენიჭება უპირატესი ძალა. აქედან გამომდინარე, მეტად პრობლემატურია აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციის სისწორის საკითხი. ზოგადად, სსკ-ის 130-ე მუხლი, თავისი კლასიკური გაგებით, გულისხმობს იმგვარ შემთხვევას, როდესაც ექიმის ქმედებისაგან დამოუკიდებლად აღმოჩნდება პირი განსაცდელში და ექიმს ევალება მისი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობიდან გამოხსნა, თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმი თავად დააფუძნებს საფრთხეს, აქ უფრო მეტად იკვეთება განსაცდელში მიტოვების შემადგენლობა (სსკ-ის 128-ე მუხლი). თუმცა, ვფიქრობ, რომ ამგვარი სახის მოცემულობა მაინც საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. ასეთ შემთხვევებში საკითხი უნდა გადაწყდეს შექმნილი მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. კერძოდ, შეეძლო თუ არა ექიმს იმ მომენტში, თავისი პროფესიული უნარ-ჩვევების მეშვეობით, დაშავებულის მდგომარეობის რაიმე ხარისხით გაუმჯობესება, თუ მას ეს შეეძლო, ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 130-ე მუხლით, ხოლო, თუ ექიმს არ შეეძლო დაშავებულისათვის სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და არც სხვა ზომები

მიიღო მის გადასარჩენად, ამ შემთხვევაში, ექიმს, როგორც საფრთხის დამფუძნებელ უშუალო პირს, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სსკ-ის 128-ე მუხლით.

ახლა განვიხილოთ იმგვარი შემთხვევა, როდესაც ექიმის მიერ არაა დაფუძნებული საფრთხე, მაგალითად, ექიმი ხედავს, რომ თავის შვილს ავტომობილი დაეჯახა და უგონო მდგომარეობაშია. მოცემულ შემთხვევაში, მოვალეობათა განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არსებული ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებიც განსაზღვარავენ სავალდებულო დახმარების ხასიათს. კერძოდ, თუ ამ შემთხვევაში ექიმს ფაქტობრივად არ აქვს თავისი სამედიცინო ცოდნის პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობა, იმ საფუძვლით, რომ მას თან არ აქვს შესაბამისი აპარატურა, ურომლისოდაც იგი მოკლებულია ადამიანის გადარჩენის იმწუთიერ შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში, წინა პლანზე გადმოდის სწორედ ნათესაური (მამაშვილური) ვალდებულება, რომ შვილი წაიყვანოს საავადმყოფოში ან გამოუძახოს შესაბამის სამსახურებს. უკეთუ ექიმი დაუხმარებლად დატოვებს თავის შვილს, ამ შემთხვევაში, მან პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 128-ე მუხლით. ხოლო, თუ მას აქვს სრული შესაძლებლობა, რათა იმწუთიერი, გადაუდებელი დახმარება გაუწიოს შვილს, რასაც არ აკეთებს და, აგრეთვე, არც სასწრაფო დახმარებას იძახებს, მოცემულ შემთხვევაში, უფრო მიზანშეწონილია, რომ მას პასუხისმგებლობა დაეკისროს სსკ-ის 130-ე მუხლით, ვინაიდან, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მყისიერი და პროდუქტიული დახმარების აღმოჩენა. ამდენად, ასეთ დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ ვალდებულებას, რომელიც შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, იმ მომენტში, ყველაზე სწრაფი, ეფექტური და საიმედოა. ვფიქრობ, რომ ჯეროვანი საკანონმდებლო მოუწესრიგებლობის პირობებში საკითხის ამგვარად გადაწყვეტა მართებულია, რადგან ასეთ შემთხვევაში ერთი წუთიც კი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიული მოვალეობა, თავისი არსით, უპირატესია ნათესაურ ან სხვა რომელიმე სახის ვალდებულებაზე. თუმცა, ამგვარი სახის კოლიზიურ სიტუაციაში, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის უპირატესი ინტერესიდან გამომდინარე, წინა პლანზე უნდა გადმოიწიოს სპეციალური სამართლებრივი მოვალეობის იმ საფუძვლის დარღვევამ, რომლის ჯეროვნად შესრულებაც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფდა ადამიანის სამართლებრივი სიკეთის დაცვას. როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 130-ე მუხლის პირველი ნაწილი საერთოდ არ ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას მაშინ, როდესაც სსკ-ის 128-ე მუხლის სანქციაში სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე. მაშასადამე, გამოდის, რომ პროფესიული ვალდებულების დარღვევის აღიარებისას, ექიმი უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება სხვა სამართლებრივ გარანტებთან მიმართებით, რაც დაუშვებელია. აღნიშნული პრობლემის გარკვეულწილად აღმოსაფხვრელად უმჯობესია, რომ გამკაცრდეს სსკ-ის 130-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია და სასჯელის ერთ-ერთ სახედ, აგრეთვე, გათვალისწინებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციის ნაწილში პრობლემა იკვეთება მაშინ, როდესაც პირს გააჩნია არაპირდაპირი განზრახვა ან თვითიმედოვნება მოსალოდნელი შედეგისადმი.

უკეთუ, იგი მოკვლის განზრახვით მიატოვებს დახმარების გარეშე, ქმედება დაკვალიფიცრდება არა სსკ-ის 128-ე ან 130-ე მუხლებით, არამედ მკვლელობის მცდელო-

ბით.[12] ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის მომხრე მეცნიერთა პოზიციის თანახმად კი, პირმა მკვლელობის მცდელობისათვის მაშინაც უნდა აგოს პასუხი, როდესაც მას მოსალოდნელი შედეგისადმი ჰქონდა არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი გაზრახვაც.[13]

წინარე ქმედებიდან წარმოშობილი სამართლებრივი გარანტის ფუნქცია

წინარე ქმედებით სამართლებრივი გარანტის ფუნქციის დაკისრებასთან დაკავშირებით საკამათოა საკითხი წინარე ქმედების ბრალეულობის თაობაზე. კერძოდ, საკმარისია წინარე ქმედება იყოს საფრთხის შემცველი, თუ აუცილებელია, ამავდროულად, რომ წინარე ქმედება ჩადენილი იყოს ბრალეულადაც.

ინგლისური სისხლის სამართლის მიხედვით, სპეციალური მოქმედების მოვალეობას წარმოშობს არაგაზრახ და ბრალუნაროდ განხორციელებული ქმედება, რომლითაც იწყება იმ მოვლენათა ჯაჭვი, რომლის ხელშეუშლელობაც დააზიანებს სხვა პირის სისხლის სამართლის კანონით დაცულ ინტერესს. ვინაიდან, თავად ამ პიროვნებამ დააფუძნა საფრთხე, იგი ვალდებულია თავიდან აიცილოს ან მინიმუმადე დაიყვანოს მოსალოდნელი დაზიანების რისკი.[14] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ დოგმატიკაში აზრთა სხვადასხვაობაა. კერძოდ, მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გარანტის ფუნქციის წარმოშობისათვის საკმარისია წინარე არაბრალეული ქმედებაც.[15] მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით კი, სამართლებრივი გარანტის ფუნქციას წარმოშობს მხოლოდ წინარე ბრალეული ქმედება.[16] ქართველ მეცნიერს, თინათინ წერეთელს, წინა აქტიური არაბრალეული მოქმედების ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილი აქვს შემდეგი შემთხვევა: პირმა შეაგულიანა მეგობარი, შეეცურა ზღვაში და საჭირო შემთხვევაში დახმარებას დაჰპირდა. როდესაც ცუდი მცურავი დახრჩობის საფრთხის წინაშე დადგა, კარგი მცურავი შორს იყო მისგან და მან ვერ მოასწრო დახმარების აღმოჩენა.[17] მისი შეხედულებით, ამ მაგალითში დადებითი მოქმედება (ცუდი მცურავის შეგულიანება) ჩადენილია არაბრალეულად, რადგან კარგ მცურავს გულწრფელად სურდა თავისი მეგობრის დახმარება. ხოლო გაუფრთხილებელი ბრალის დაფუძნება ხდება მოგვიანებით, დახმარების აღმოუჩენლობის მომენტში.[18] უფრო დასაბუთებული შეხედულების მიხედვით, ამ შემთხვევაში გარანტის ფუნქციას აფუძნებს არა მხოლოდ წინარე მოქმედება – შე-

12 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი პირველი, მეშვიდე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 194.

13 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 138.

14 Michael, J. A., 2001. Textbook on Criminal Law. sixth Edition, Oxford: Oxford University Press, გვ. 31.

15 გაბიანი, ა. და სხვები. 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 120.

16 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ.158.

17 წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. პირველი ტომი, თბილისი: მერიდიანი, გვ. 286.

18 იქვე. გვ. 286.

გულიანება, არამედ მიშველების მოვალეობის ფაქტობრივად თავის თავზე აღებაც.[19]

აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით საინტერესოა რამდენიმე გარემოება: პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ კარგი მცურავის სამართლებრივ გარანტად გახდომის საფუძველია სწორედ ამ უკანასკნელისა და ცუდი მცურავის ორმხრივი შეთახმება, საჭიროების შემთხვევაში, ამ უკანასკნელისათვის კარგი მცურავის მიერ დახმარების აღმოჩენის ვალდებულების თავის თავზე აღების ფაქტი. ანუ ცუდმა მცურავმა ზღვაში შეცურა არა მხოლოდ თავისი მეგობრის შეგულიანების გამო, არამედ, პირველ რიგში, სწორედ საჭირო დახმარების აღმოჩენის იმედით. ე.ი. ცუდმა მცურავმა საკუთარი სიცოცხლე თავისი ნებით მიანდო კარგ მცურავს და, აქედან გამომდინარე, მის იმედად შეცურა ზღვაში. აგრეთვე, ბრალეულობა/არაბრალეულობის ნაწილში, დამატებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, საბოლოოდ, მართლსაწინააღმდეგო შედეგი დადგა სწორედ კარგი მცურავის ბრალეული ქმედების შედეგად, ვინაიდან მან სათანადო ყურადღება არ გამოიჩინა თავისი მეგობრის მიმართ, უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას (საჭირო შემთხვევაში დახმარების აღმოჩენა), კერძოდ, გაცურა შორს, რის გამოც, საჭიროების შემთხვევაში, ვეღარ შეძლო თავისი მეგობრისათვის დროული დახმარების აღმოჩენა. საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ მოცემული მაგალითი არ წარმოადგენს წინარე ქმედებით სამართლებრივი გარანტის ფუნქციის დაფუძნების კლასიკურ შემთხვევას და ,შესაბამისად, ვერ გამოდგება წინარე არაბრალეული ქმედებით სამართლებრივი გარანტის ფუნქციის წარმოშობის დამადასტურებელ მაგალითად (საფუძვლად).

როდესაც ვსაუბრობთ წინარე ქმედების ბრალეულობა/არაბრალეულობის საკითხზე, აღნიშნულ შემთხვევაში, ყოველთვის უნდა მოიაზრებოდეს დამზიანებელი პირის მიერ უშუალოდ ჩადენილი ქმედება და არა დამნაშავის მიერ დაზარალებულთან ორმხრივი, ურთიერთთანხვედრი ნების შედეგად მიღებული შეთანხმება, რამეთუ, ეს უკანასკნელი შეთანხმების მომენტში, რაც იმთავითვე წარმოშობს გარანტის ფუნქციას, თითქმის ყოველთვის არაბრალეულია (თუ თავად შეთანხმება არსობრივად იმთავითვე არ ატარებს კანონსაწინააღმდეგო ხასიათს), ვინაიდან სამართლებრივი გარანტის ფუნქციას აფუძნებს პირთა შორის არსებული ორმხრივი შეთანხმების აქტი (წერილობით, ზეპირი ან კონკლუდენტური ქმედებით განხორციელებული), ხოლო შემდგომში პასუხისმგებლობას აფუძნებს პირის მიერ ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულების ბრალეულად შეუსრულებლობა. წინარე ქმედების დროს კი სამართლებრივი გარანტის ფუნქციას წარმოშობს ბრალეულად (გაუფრთხილებლობით) ჩადენილი საფრთხის შემქმნელი მოქმედება, რაც აფუძნებს დაშავებულის დახმარების ვალდებულებას. როგორც უკვე აღინიშნა, წინარე ქმედების კლასიკურ შემთხვევად მიიჩნევა მძღოლის მიერ ქვეითისათვის ავტომობილით დაჯახების მაგალითი. ამ შემთხვევაში, საინტერესოა, არაგანზრახ ქმედებაში არაბრალეული ქმედებაც თუ იგულისხმება?

ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, არაბრალეული ქმედება ვერ წარმოშობს სამართლებრივი გარანტის მოვალეობას.[20] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს

19 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 323.

20 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 159.

განჩინებები,[21] რომლითაც სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია და უცვლელად დატოვა ქვედა ინსტანციის განაჩენები, რომლითაც განსაცდელში მიტოვების მუხლით დაკვალიფიცირდა იმ მძღოლთა ქმედება, რომლებიც არაბრალეულად დაეჯახნენ ქვეითს და მიატოვეს იგი, არ გაუწიეს სათანადო დახმარება. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მოცემულ ქმედებათა სამართლებრივი შეფასება არის არასწორი, რამეთუ, განსახილველ შემთხვევაში ცალსახად არ იკვეთება სამართლებრივი გარანტის წარმოშობის ფაქტობრივი საფუძვლები. კერძოდ, საქმის მასალებით უტყუარად დადგინდა, რომ მძღოლებს არ დაურღვევიათ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები. ე.ი. მათი ქმედება იყო მართლზომიერი. საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა უპირობოდ ეწინააღმდეგება სამართლებრივი გარანტის არსს, მის ფუნქცია-მოვალეობებს, რადგან, როგორც ცნობილია, სამართლებრივ გარანტს, ჩვეულებრივი მოქალაქისაგან განსხვავებით, აკისრია დაზარალებულისათვის დახმარების აღმოჩენის სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სწორედ მის მიერ მისთვის დაკისრებული კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობისაგან ან არაჯეროვანი შესრულებისაგან, აგრეთვე, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მომენტიდან.

სამართლებრივი გარანტის მოქმედების შესაძლებლობის საკითხი

სისხლის სამართლის კოდექსი გვთავაზობს შერეული უმოქმედობით პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელ მეორე ელემენტს, რაც გულისხმობს სამართლებრივი გარანტისათვის მოქმედების ფაქტობრივ შესაძლებლობას.[22]

შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა ობიექტურად უნდა განისაზღვროს. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნას პირის ინდივიდუალური შესაძლებლობებიც. ეს უკანასკნელი გულისხმობს კონკრეტული პირის ცოდნა-გამოცდილებას და მის ფიზიკურ შესაძლებლობებს.[23] შერეული უმოქმედობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება, როცა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან აცილების ვალდებულების მქონე გარანტი თავის მოქმედება-უნარიანობას აქტიური მოქმედებით გამორიცხავს. ეს ის შემთხვევაა, როცა სამართლებრივი გარანტი დათვრება და განზრახ თავის თავს ისეთ უგონო მდგომარეობაში ჩააყენებს, რომ მოგვიანებით ვერ შეძლოს სამართლებრივი ვალდებულების შესრულება.[24] გარანტს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინ, როდესაც მას იმ პირის შეკავება, რომელსაც დანაშაულის ჩადენა აქვს გადაწყვეტილი, მხოლოდ რამდენიმე წამით შეუძლია,[25] ვი-

21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 25 მარტის განჩინება (საქმე N 2კ-46აპ.-04); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 23 მარტის განჩინება (საქმე N 2კ-83აპ.-04).

22 მუხლი 8, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999. # 2287.

23 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 328-329.

24 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 283.

25 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 329.

ნაიდან, ამ შემთხვევაში, სამართლებრივი გარანტი ფიზიკურად მოკლებულია საფრთხის განეიტრალების შესაძლებლობას. ამდენად, სამართლებრივი გარანტი მაშინ არის მოკლებული მოქმედების შესაძლებლობას, როდესაც მის წინ არსებობს რეალურად არსებული, მისთვის გადაულახავი ობიექტური გარემოება, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო წარმოიშვა და ზღუდავს გარანტის მიერ საკუთარი ნების შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობას.

ამდენად, შერეული უმოქმედობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, აუცილებელია, რომ სამართლებრივ გარანტს ფაქტობრივად, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში გააჩნდეს საჭირო და გადაუდებელი მოქმედების განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა. ხოლო, უკეთუ, სამართლებრივი გარანტი ამგვარი მოქმედების შესაძლებლობას მოკლებულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, ამ შემთხვევაში, საერთოდ არ დგება შერეული უმოქმედობისათვის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საკითხი, იმდენად, რამდენადაც განსახილველ შემთხვევებში სრულად გამოირიცხება ქმედების ნებელობითი ელემენტი.[26] ე.ი. აღნიშნულ ვითარებაში სამართლებრივი გარანტის უმოქმედობას განაპირობებს არა ამ უკანასკნელის ნებელობითი გადაწყვეტილება დახმარების აღმოუჩენლობის შესახებ, არამედ სხვა, გარანტისაგან დამოუკიდებლად წარმოშობილი, რეალურად არსებული გარეშე ობიექტური ფაქტორები.

სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგის თავიდან აცილების საკითხი

სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, შერეული უმოქმედობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ზემოთ განხილულ ორ გარემოებასთან ერთად აუცილებელია, დადგინდეს შესაძლებელი და სავალდებულო მოქმედებით შედეგის თავიდან აცილების საკითხი. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა შემდეგი გარემოება, კერძოდ, რა იგულისხმება შედეგის აცილებაში, შესაძლებელი და სავალდებულო მოქმედებით ამ უკანასკნელის უპირობოდ აცილება, თუ მისი აცილების შესაძლებლობის გაზრდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული შეხედულებანი.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, უმოქმედობისას პირი დამთავრებული დანაშაულისათვის მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, როდესაც შედეგის თავიდან აცილება რეალობასთან ახლო მდგომი ალბათობის მაღალი ხარისხით იყო შესაძლებელი. [27] ამდენად, საინტერესოა, როგორ იზომება ალბათობის მაღალი ხარისხი. სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმული აზრის მიხედვით, 90% არაა რეალობასთან ახლოს მდგომი ალბათობის მაღალი ხარისხი. ამ მოსაზრების მიხედვით, შედეგის თავიდან აცილების ნაკლები ალბათობისას პირი მხოლოდ მცდელობისათვის აგებს პასუხს.[28] სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება რისკის ამაღლების თეორია. რაც გულისხმობს,რომ რეალობასთან ახლოს მდგომი ალბათობის მაღალი ხარისხით

26 გაბიანი, ა. და სხვები. 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 120.

27 მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 332.

28 იქვე. გვ. 332.

შესაძლეველია შედეგის თავიდან აცილებადობის დადგენა.[29] შედეგი უმოქმედობისას – რისკის გაზრდის თეორიის მიხედვით – პირს მაშინ შეერაცხება, თუ მან შედეგის დადგომის რისკი გაზარდა. ანუ, ამ თეორიის მიხედვით უმოქმედობის მიზეზობრიობისათვის საჭირო არაა დადგენა იმისა, რომ შედეგი ჭეშმარიტებასთან ახლოს მდგომი ალბათობის მაღალი ხარისხით დადგებოდა.[30] უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ ამ თეორიის მიხედვით უმოქმედობის მიზეზობრიობისათვის აუცილებელი აღარაა შესაძლებელი და სავალდებულო მოქმედების შემთხვევაში შედეგის უპირობოდ (100%-ით) თავიდან აცილების საკითხის დადგენა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი პოზიციის თანახმად, სიტყვების: „სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული" – ალბათობის მაღალ ხარისხზე მითითებით საჭიროა დავაკონკრეტოთ იმისათვის, რომ ჰიპოთეტური კვაზიმიზეზობრიობის დადგენისას არ იქნეს მოთხოვნილი და ვერც მოხერხდება აბსოლუტური ან აბსოლუტურთან მიახლოებული უტყუარობის დამტკიცება, რადგან სრული რეალობის ამსახველი სურათის მიღწევა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, (თითქმის) შეუძლებელია, არამედ ნორმატიულად მხოლოდ ივარაუდება.[31]

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა პრობლემატურია, ვინაიდან იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციით დადგენილ პრინციპს, რომლის თანახმადაც: ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.[32] შესაბამისად, როდესაც საუბარია ალბათობის მაღალი ხარისხით შედეგის თავიდან აცილების საკითხზე, ცალსახაა, რომ უტყუარად ვერ დგინდება შედეგის აცილების საკითხი. ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტი სრულად ვერ ავსებს სამართლებრივ სივრცეს და, აქედან გამომდინარე, მაინც არსებობს (თუნდაც მცირე დოზით) გარკვეული სახის პასუხგაუცემელი კითხვები (ეჭვები) შედეგის თავიდან აცილების ჭეშმარიტობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია სწორედ კანონმდებლობით მოთხოვნილ გარემოებათა მკაფიოდ დადგენა, საბოლოოდ, შედეგის აცილებადობის აბსოლუტური სიზუსტით (და არა ვარაუდის მეტ-ნაკლები ხარისხით) განსაზღვრისათვის. ერთ-ერთ საქმეში უზენაესი სასამართლო სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ „ალბათობის თუნდაც მაღალი ხარისხი სამართლებრივად არასდროს არ არის საკმარისი საფუძველი ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებლად ან სარწმუნოდ მიჩნევისათვის, რასაც შეიძლება ბრალდება დაეყრდნოს და რის საფუძველზეც პირი შეიძლება იყოს ბრალდებული".[33]

29 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 287.

30 მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2014. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით). თბილისი: მერიდიანი, გვ. 59.

31 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მე-9 გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 287.

32 მუხლი 31, საქართველოს კანონი „საქართველოს კონსტიტუცია". პარლამენტის უწყებანი 24/08/1995. # 786.

33 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინება (საქმე 2კ-987ა3.-07).

დასკვნა

განსახილველი თემატიკის შესწავლისა და გაანალიზების გათვალისწინებით, შეგვიძლია შევაჯამოთ კონკრეტულ მნიშვნელოვან საკითხთა წრე. უმოქმედობის მიზეზობრიობის გაანალიზებისას უმნიშვნელოვანესია საკანონმდებლო დანაწესით გათვალისწინებული პირველი ელემენტის – სამართლებრივი გარანტის არსის, მისი სახეების განსაზღვრისა და წარმოშობის საფუძვლების დადგენის საკითხები. აღნიშნული კუთხით საინტერესოა წინარე ქმედებით სამართლებრივი გარანტის ფუნქციის წარმოშობის პირობები. მიმაჩნია, რომ წინარე ქმედებაში იგულისხმება პირის მიერ ბრალეულად ჩადენილი ქმედება, რომელიც განხორციელებისთანავე, ქმნის მძიმე ზიანის მიყენების საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, რაც უპირობოდ წარმოშობს მოქმედების სპეციალურ სამართლებრივ მოვალეობას. რაც შეეხება არაბრალეულად ჩადენილ წინარე ქმედებას, ეს შემთხვევა არ უნდა მივიჩნიოთ სამართლებრივი გარანტის წარმოშობის საფუძვლად, რამეთუ გარანტს, ჩვეულებრივი მოქალაქისაგან განსხვავებით, ეკისრება მომეტებული პასუხისმგებლობა, სწორედ ამ უკანასკნელის ბრალეული ქმედებით დაფუძნებული საფრთხის განეიტრალებისათვის. შესაბამისად, სამართლიანობა მოითხოვს, რომ პირს, მის მიერ ბრალუუნაროდ განხორციელებული ქმედებისათვის, არ უნდა დაეკისროს იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, რაც დადგენილია ჩვეულებრივი მოქალაქის მიერ დაზარალებულისათვის აშკარა და გადაუდებელი დახმარების აღმოუჩენლობისათვის. წინარე ქმედებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სამართლებრივი გარანტის ფუნქციას წარმოშობს არა მხოლოდ ბრალეულად განხორციელებული საფრთხის შემცველი ქმედება, არამედ, საგამონაკლისო წესით ჩადენილი მართლზომიერი ქმედებაც, რითაც პირი თავის თავზე იღებს დაცვითი ფუნქციის განხორციელების ვალდებულებას და, შესაბამისად, ხდება მზრუნველი გარანტი.

აგრეთვე, პრობლემატურია კანონიდან წარმოშობილი სამართლებრივი გარანტის მოვალეობათა შეწყვეტის საკითხი. კერძოდ, იწვევს თუ არა ცოლქმრული ურთიერთობის ფაქტობრივი გაწყვეტა გარანტის მოვალეობის შეწყვეტას. მოცემულ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ კანონიდან წარმოშობილი გარანტის ფუნქციის ძალაში ყოფნის საკითხი არსებითად დამოკიდებულია სწორედ კანონითვე დადგენილ გარემოებების არსებობაზე. ე.ი. მასზე გავლენას ვერ ახდენს ფაქტობრივი ურთიერთობის ხასიათი.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია უმოქმედობის მიზეზობრიობის მესამე ელემენტის – სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგის თავიდან აცილების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ შედეგის თავიდან აცილება/არაცილება უნდა დადგინდეს კატეგორიულად, ასპროცენტიანი სიზუსტის სტანდარტით და არა მაღალი ან მნიშვნელოვანი ალბათობის ხარისხით, რამეთუ, ჯერ ერთი, ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს – ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის შესახებ და მეორეც, მიზეზობრიობის სამართლებრივი სივრცე რჩება შეუვსებელი, რაც დაუშვებელია.

სასამართლო პრაქტიკის განხილვისას ცალსახად გამოვლინდა იურიდიულ დოგმატიკაში აღნიშნულ პრობლემატურ ასპექტთა არასწორი განმარტებისა და შეფასების ფაქტები, რაც, საბოლოო ჯამში, შეიცავს საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღების რეალურ რისკებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სისტემურად და ლოგიკურად გაანალიზდეს უმოქმედობის მიზეზობრიობის ორგანული ელემენტები, რათა მათ მიეცეთ სწორი შეფასება.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი.
2. გამყრელიძე, ო., 2015. სისხლის სამართლის პრობლემები. ტომი მესამე, თბილისი: იურისტების სამყარო.
3. თოდუა, ნ., 2017. უმოქმედობის მიზეზობრიობის ზოგიერთი სადავო საკითხი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში. ჟურნალი სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2.
4. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი პირველი, მეშვიდე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი.
5. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი.
6. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2011. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი.
7. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2014. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით). თბილისი: მერიდიანი.
8. ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი.
9. ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი.
10. წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. პირველი ტომი, თბილისი: მერიდიანი.
11. Jones, T. H., Christie, M. G. A., 1996. Criminal Law, Edinburgh.
12. Michael, J. A., 2001. Textbook on Criminal Law, sisxth Edition, Oxford: Oxford University Press.
13. Smith, H., 2002. Criminal Law. Tenth Edition.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი „საქართველოს კონსტიტუცია“. 1995. პარლამენტის უწყებანი # 786.
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999. # 2287.
3. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი 26/06/1997. # 786.

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 25 მარტის განჩინება (საქმე N 2კ-46აპ.-04).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 23 მარტის განჩინება (საქმე N 2კ-83აპ.-04).
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინება (საქმე 2კ-987აპ.-07).

Bibliography:

Used Literature:

1. Gabiani, A., and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
2. Gamkrelidze, O., 2015. The Problems of Criminal Law. third volume, Tbilisi: world of Lawyer. (in Georgian)
3. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. The Special Part of Criminal Law. Book first. seventh edition, Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
4. Mchedlishvili-Hedrikhi, K. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
5. Mchedlishvili-Hedrikhi, K., 2011. Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Demonstration. Meridiani. (in Georgian)
6. Mchedlishvili-Hedrikhi, K., 2014. Criminal Law, General Part, (The Major matters with questions and ansvers) Meridiani. (in Georgian)

7. Tsereteli, T., 2007. The Problems of Criminal Law. first volume. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
8. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition, Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
9. Todua, N., 2017. Some arguable matters of omission casuality in crimes against human beings. Journal the actual matters of criminal law, Edition 2, Tbilisi. (in Georgian)
10. Tskitishvili, T., 2015. The hazardous misdeeds against of human life and health. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
11. Jones, T. H., Christie, M. G. A., 1996. Criminal Law. Edinburgh. (in English)
12. Michael, J. A., 2001. Textbook on Criminal Law. sisxth Edition, Oxford: Oxford University Press. (in English)
13. Smith, H., 2002. Criminal Law. Tenth Edition. (in English)

Normative material:

1. Law of Georgia Constitution of Georgia. The Notifications of Parliament 24/08/1995. #786. (in Georgian)
2. Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/07/1999. #2287. (in Georgian)
3. Law of Georgia Civil Code of Georgia. The Notifications of Parliament 26/06/1997. #786. (in Georgian)

Judicial practice:

1. The verdict of Georgian Supreme Court. 25 March 2004 (Case N 2K-46AP.-04). (in Georgian)
2. The verdict of Georgian Supreme Court. 23 March 2004 (Case N 2K-83AP.-04). (in Georgian)
3. The verdict of Georgian Supreme Court. 26 December 2007 (Case N 2K-4987AP.-07). (in Georgian)

References:

1. Mchedlishvili-Hedrikhi, K., 2011. Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Demonstration. Meridiani, p. 327. (in Georgian)
2. Mchedlishvili-Hedrikhi, K. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 193. (in Georgian)
3. Mchedlishvili-Hedrikhi, K., 2011. Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Demonstration. Meridiani, p. 308. (in Georgian)
4. Ibid. p. 311. (in Georgian)
5. Article 1151, Law of Georgia Civil Code of Georgia. The Notifications of Parliament 26/06/1997. #786. (in Georgian)
6. Ibid. Article 1182.
7. Ibid. Article 1183.
8. Article 128, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/07/1999. #2287. (in Georgian)
9. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 281. (in Georgian)
10. Article 130, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/07/1999. #2287. (in Georgian)
11. Tskitishvili, T., 2015. The hazardous misdeeds against of human life and health. Tbilisi: Meridiani, p. 397. (in Georgian)
12. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. The Special Part of Criminal Law. Book first. seventh edition, Tbilisi: Meridiani, p. 194. (in Georgian)
13. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition, Tbilisi: Meridiani, p. 138. (in Georgian)
14. Michael, J. A., 2001. Textbook on Criminal Law. sisxth Edition, Oxford: Oxford University Press, p. 31. (in English)
15. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 120. (in Georgian)
16. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. The Special Part of Criminal Law. Book second. sixth edition, Tbilisi: Meridiani, p. 158. (in Georgian)
17. Tsereteli, T., 2007. The Problems of Criminal Law. first volume. Tbilisi: Meridiani, p. 286. (in Georgian)
18. Ibid. p. 286.
19. Mchedlishvili-Hedrikhi, K. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 323. (in Georgian)

20. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. The Special Part of Criminal Law. Book second. sixth edition, Tbilisi: Meridiani, p. 159. (in Georgian)
21. The decisions of Georgian Supreme Court, 25 March 2004 (Case N 2K-46AP.-04) and 23 March 2004 (Case N 2K-83AP.-04). (in Georgian)
22. Article 8, Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/07/1999. #2287. (in Georgian)
23. Mchedlishvili-Hedrikhi, K. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, pp. 328-329. (in Georgian)
24. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition, Tbilisi: Meridiani, p. 283. (in Georgian)
25. Mchedlishvili-Hedrikhi, K. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, pp. 328-329. (in Georgian)
26. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 120. (in Georgian)
27. Mchedlishvili-Hedrikhi, K. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 332. (in Georgian)
28. Ibid. p. 332.
29. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition, Tbilisi: Meridiani, p. 287. (in Georgian)
30. Mchedlishvili-Hedrikhi, K., 2014. Criminal Law, General Part, (The Major matters with questions and ansvers) p. 59. (in Georgian)
31. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition, Tbilisi: Meridiani, p. 287. (in Georgian)
32. Article 31, Law of Georgia Constitution of Georgia. The Notifications of Parliament 24/08/1995. #786. (in Georgian)
33. The decisions of Georgian Supreme Court, 26 December 2007 (Case N 2K-4987AP.-07). (in Georgian)